



NEWSLETTER

(AUGUST, 2014)

საქართველო OGP-ს მმართველი
კომიტეტის წევრია

ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი



4 აგვისტოს ცნობილი გახდა ღია მმართველობის პარტნიორობის მმართველი კომიტეტის არჩევნების შედეგები, რომლის მიხედვითაც, საქართველო პირველად გახდა კომიტეტის წევრი 2 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტი არჩევნების გზით პირველად დაკომპლექტდა.

IDFI-მ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს მიაწვდის რეკომენდაციებს მეტი გამჭვირვალობის და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ამაღლების უზრუნველსაყოფად.

[იხილეთ ბმული](#)

[იხილეთ ბმული](#)

სამოქმედო გეგმა და შემუშავებული რეკომენდაციები



IDFI, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მთავრობასთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტის კოორდინირებულ შემუშავებაში. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორცაა პეტიციების პორტალის ichange.ge-ს შექმნა, მიყურადების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება და პროაქტიული გამჭვირვალობა, შსს-ს სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და არქივების გამჭვირვალობა.

[იხილეთ ბმული](#)

სტატისტიკური ინფორმაცია პროკურატურის მიერ განხორციელებული ფარული მიყურადების შესახებ

IDFI-მ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ფორუმში მონაწილე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა რეკომენდაციით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდულობით, პროაქტიულად გამოქვეყნებულიყო ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია.

IDFI მოუწოდებს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ ახალი კანონპროექტის ინიციატორებს, მოახდინონ კანონის იმ მუხლის კორექტირება, რომლის მიხედვითაც, დასაშვები ხდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევა.

იხილეთ ბმული

მთავრობის კანცელარიის 2013 -2014 წლების სხვადასხვა ხარჯები

IDFI-ს მიერ მთავრობის კანცელარიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი გახდა კანცელარიის 2013-2014 წლების სხვადასხვა ხარჯების შესახებ. ინფორმაცია ეხება აღნიშნულ წლებში გაცემულ პრემიებს და სახელფასო დანამატებს, მათ შორის, ყოფილი და მოქმედი პრემიერ მინისტრების, ყოფილი პრეზიდენტის სამივლინებო ხარჯებს. ასევე, მთავრობის კანცელარიაში საკონსულტაციო მომსახურეობაზე გაწეულ ხარჯებს, წარმომადგენლობით ხარჯებს, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ შესყიდვებს და შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას.



იხილეთ ბმული


ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გაიმართა



IDFI-ს ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „საქართველოს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლობის ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლა - აქტუალური საკითხები და გამოწვევები“. მრგვალი მაგიდის ფარგლებში რეგიონული მაუწყებლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ციფრული მაუწყებლობის განხორციელებისათვის საჭირო აპარატურის პროვაიდერი კომპანიების წარმომადგენლებმა რეგიონული ტელევიზიების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს.

იხილეთ ბმული

2013 წლის მონაცემები კახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებიდან



www.opendata.ge-ზე უკვე შესაძლებელია კახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მუნიციპალიტეტებიდან IDFI-სთვის მოწოდებული საჯარო ინფორმაციის გაცნობა. აღნიშნული ინფორმაცია ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა 2013 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გაცემული პრემიები და სახელფასო დანახარტები, ამათუ იმ საკრებულოს, გამგეობისა და მერიის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და სახელმწიფო შესყიდვები.

იხილეთ ბმული

საზაფხულო სკოლა “კარგი მმართველობის გამოწვევები”

თსუ-ში გაიმართა საზაფხულო სკოლა სახელწოდებით: „ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტი

(ENPI) სამხრეთ კავკასიაში 2013 წლის შემდეგ: კარგი მმართველობის გამოწვევები“.

IDFI საზაფხულო სკოლის ერთ-ერთი თანაორგანიზატორი იყო.

იხილეთ ბმული



აპლიკაციების მიღება IDFI-ის ტრენინგისთვის ელ-ჩართულობის შესახებ

IDFI პროექტ „ახალგაზრდებში მთავრობის გასაკონტროლებლად საჭირო ელ-უნარების განვითარების“ ფარგლებში 14 სექტემბრიდან 26 სექტემბრის პერიოდში გეგმავს ელექტრონული ჩართულობის შესახებ ტრენინგის ჩატარებას, რომელიც ხორციელდება აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხადრატყერით.

ინსტიტუტი აცხადებს განცხადებებების მიღებას ტრენინგში მონაწილეობისთვის. ტრენინგში მონაწილეობის მიღებისთვის.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ [იხილოთ ბმულზე](#)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION



Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.

Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514

Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | [Research](#)